საფაკულტეტო კომისიის რეგლამენტი

1. წინამდებარე რეგლამენტის მიზანია, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ფარგლებში მოქმედმა კოლეგიურმა ორგანომ, მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების და უფლებამოსილებების ფარგლებში, განახორციელოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული ხარისხის შიდა კონტროლის ფუნქცია.

2. წინამდებარე რეგლამენტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის უწყვეტად, დადგენილი პერიოდულობით, უზრუნველყოფისათვის, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების (შემდგომში - საფაკულტეტო კომისია) შემადგენლობა თითოეულ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე (შემდგომში - ფაკულტეტი).

3. საფაკულტეტო კომისიის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს, შესაბამის ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასებით და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მისი განხილვით, ერთი მხრივ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მუდმივი, გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც ინდივიდუალურად, კონკრეტული ფაკულტეტის საჭიროებებსა და გამოწვევების სპეციფიკურობას გაითვალისწინებს და მათი შესრულების ეფექტიანობა შესაძლო საუკეთესო შედეგზე იქნება ორიენტირებული.

4. წინამდებარე რეგლამენტის მე-3 პუნქტის უზრუნველსაყოფად, საფაკულტეტო კომისიის კომპეტენციად და ამოცანებად განისაზღვრება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის კომპლექსური შეფასება, კერძოდ:

ა.ა) საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის დადგენილი ნორმების, მათ შორის: პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სწავლება/სწავლის და შეფასების მეთოდების პერიოდული შეფასებების (შიდა და გარე) განხორციელება;

ა.ბ) სწავლის შედეგების შეფასება;

ა.გ) პროგრამის ინტერნაციონალიზაცია;

ა.დ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარება;

ა.ე) პროგრამაზე არსებული მოთხოვნა;

ა.ვ) პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

ა.ზ) სტუდენტური სერვისები;

ა.თ) შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობა;

ა.ი) წარმატებული უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან დადარება;

ა.კ) პროგრამის კონკურენტუნარიანობა;

ა.ლ) პროგრამის ფინანსური და აკადემიური მდგრადობის და პროგრამის საჭირო რესურსებით (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ლაბორატორიები, სოფტები, სასწავლო და სამეცნიერო რესურსები და ა.შ.) უზრუნველყოფა.

ბ) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმართულებების შეფასებით დასკვნის მომზადება და ფაკულტეტის მართვის ორგანოებსა (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის საბჭო) და ფაკულტეტის მმართველ სუბიექტთან (ფაკულტეტის დეკანი) განხილვა;

გ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილული საფაკულტეტო კომისიის დასკვნის წარდგენა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის.

5. საფაკულტეტო კომისიის საქმიანობის ერთი ციკლის საანგარიშო პერიოდი მოიცავს ერთ სასწავლო სემესტრს.

6. საფაკულტეტო კომისია, საკუთარი ამოცანების შესრულების მიზნით, უფლებამოსილია, საქმიანობა განახორციელოს საჭირო ინფორმაციის მიღების საუკეთესო შესაძლებლობ(ებ)ის გამოყენებით, მათ შორის, ჩაატაროს გეგმური ან არაგეგმური შემოწმებები, გამოითხოვოს დოკუმენტაცია/ინფორმაცია, დაესწროს სწავლების პროცესს, ჩაატაროს ინტერვიუირება, სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს კომისიის არა წევრი სპეციალისტი, მოახდინოს მატერიალური ბაზის ადგილზე დათვალიერება და სხვ. კომისია უფლებამოსილია, აუცილებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოითხოვოს ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი აკადემიური დეპარტამენტების, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა პირებისა თუ სტრუქტურული ერთეულებისგან.

7. საფაკულტეტო კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისგან და მას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

8. საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობაში, ფაკულტეტის თანამშრომლებთან ერთად, აუცილებლად უნდა შედიოდეს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

9. საფაკულტეტო კომისია, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კოლეგიურად მიღებული გადაწყვეტილებების სრული დაცვით. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე.

10. საფაკულტეტო კომისიის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება კომისიის სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

11. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე პირთა უმრავლესობით.

12. საფაკულტეტო კომისიის სხდომათა შინაარსი და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება საფაკულტეტო კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრ(ებ)ს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლება აქვს დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული აზრი, შესაბამისი დასაბუთებით. კომისიის წევრის განსხვავებული მოსაზრება თან ერთვის ოქმს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

13. საფაკულტეტო კომისია, თითოეული სასწავლო სემესტრში ატარებს არანაკლებ 2 სხდომას, სადაც ფასდება კომისიის პრაქტიკული საქმიანობით გამოვლენილი ფაქტობრივი ვითარება და გარემოებები.

14. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს უფლება აქვს კომისიას მოსთხოვოს კონკრეტული მიზნობრივი შემოწმება/შეფასების ჩატარება.

15. წინამდებარე რეგლამენტის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამოცანის შესრულებიდან 30 დღის ვადაში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს საფაკულტეტო კომისიის დასკვნას და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, დაინტერესებული სტრუქტურული ერთეულების თანამონაწილეობით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლის შესრულების თაობაზე ინფორმაცია უნდა აისახოს საფაკულტეტო კომისიის მომდევნო დასკვნებში.